

მშენებელი

№ 18

1917

შინაარსი. ათი წლის შედეგ — ეშმაკი. პატარა ფელეტონი — მორიელი. ნიკოლოზ II — გ. რუხაძე. ერთი ქალიშვილის დღიუიდან — თარ. გელიოზისა. შარადა — ბოკოკო. ხელოზად ასეთი უნდა — თარაში. სიქოს წერი-

ლი ცოლთან — გოგია. დეპეშები — იხანდერი. ყარაღები — ნაღველა. ფსტა — ე — კი. ნაწყვიტები — ი. ტოფაშე. კარკატშრები. ათი წლის შემდეგ. ვალერიან გუნია. ქნაქაა. პური ჩვენი არსობისა. ზურგუა.

ათი წლის შედეგ



ამხანაგი ნ. რეზანოვი. ამხანაგებო! ბურჟუაზია, ჩვენი სისხლით და თფლით იღვამს ოქროს სასახლეებს. მისი კეოიღღეობა პროლეტარიატის ტანჯვას და დამონებას და მუარებუდა. დროა, ამხანაგებო, დაიხგრეს ებ შავხედი კედელი კავიტალიზმისა, რომ ამოქედეს ბრწინებალე სხივი სოციალიზმისა. ძირს...

ათი წლის შედეგ*

თუ მართალია ის დებულება, რომელიც გამოსთქვა ჩემმა მეგობარმა ანებოდისტე ჭიჭვაძემ და რომელსაც კვერი დაუკრა კარლ მარქსმა, დებულება რომელიც ამბობს: „მდგომარეობა შეიქმს შეგნებასაო“, სრულიად არ უნდა გვეუცხოვოს სანახაობა, რომლის მხილველნი თქვენ დღევანდელი ჩვენი ჟურნალის პირველ გვერდზე ვახდით და მეკითხვისუფლებს მოედანზე ქ. პეტროგრადს.

უკვე მათე წელიწადია, რაც რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა. დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც თითქმის მარტო სოციალისტებისაგან შესდგებოდა, ყოფილ მეფეს ჩამოართვა მთელი ქონება და გაანთავისუფლა. გაანთავისუფლა არა მარტო ქონებისაგან, არამედ პოლიტიკურათაც.

თავისუფლების პირველ დღესვე იგრძნო რესპუბლიკის მოქალაქემ ახირებული გრძნობა უიმპილისა. აგერ ამდენი ხნის კაცია და ჯერ მას უიმპილი არ გამოუცდია. — როგორ? კაცს ჭამა გინდოდეს, ქალაქში ამდენი საკმელი იყოს და მოთხოვნილება ვერ დაიკმაყოფილო? ნუ თუ ეს წინეთაც ასე იყო? მეტი გზა არ არის რაიმე საქმე უნდა ვიშოვო.

წარმოსთქვა მან ნაღვლიანათ და ქარხნის კარებს დაუკაკუნა. კარები გულდეს და მუშა დირექტორს წარუდგინეს.

- თქვენი სახელი?
- ნიკოლოზ.
- გვარი?
- გვარი რომანოვი.

— რომანოვი? როგორ არა გრცხვენიათ ამდენ ხანს ვერ მოგიხერხებიათ ამ ახირებული გვარის გამოცვლა. რესპუბლიკანურ რუსეთში ასეთი გვარი ყოვლად შეუწყნარებელია. რა ხელობა იცით?

- ხელის მოწერა.
- რაო?

— ხელის მოწერა. მე მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ვაწერდი: „ნიკოლოზ“.

*) წასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ ცხადდება ისე განვითარდა, როგორც საქინაო.

— ეგ ხელობა ახლა არ გამოგადგებათ. სხვა არაფერი იცით?

— თითქმის არაფერი... თოვლი კი მიხვეტია გზიდან სასახლის ეზოში...

— საკვირველია! ასეთი ჩამორჩენილი მუშაკარგა ხანია არ შემხვედრია. მუქთად ფულს ვერ მოგცემთ. გადასწმინდეთ თოვლისაგან აი ეს ეზო. ჯერ-ჯერობით დღიურათ იქნებით.

სალამოს, ძალზე დაქანცული ნიკო გაპყვა სხვა მუშებს მუშათა კლუბისაკენ. ოთხ აბაზ ნახევარი, რომელიც მას შრომის ფასად მისცეს ძლიერ ეცოტავა, მაგრამ ჯერ საყვედურებს და ბრძოლას შეუჩვეველი იყო. მოელვარე ავტომობილებით მონავარდე პეტროგრადის ბურჟუები მის გულში მხოლოდ შურის გრძნობას იწვევდა. მთელი საღამო კლუბში მხიარულათ ვაატარა. მართალია ორატორებისა ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც მის სასარგებლოს ამბობდენ და ამითაც კმაყოფილებას გრძნობდა. ერთხელ წამოდგა და დაიწყო:

— ამხანაგებო! მე და ჩემი მეუღლე ვსვამთ... მაგრამ თავმჯდომარის სახეს უკმაყოფილება შეატყობ და სიტყვა შეჭკვეცა.

ასე მისდევდა დღე დღეს, კვირე კვირე და თვე თვესა. ნიკოლოზ რომანოვი მუშაობაშიაც რიგიანათ გამოიწაფა და პოლიტიკაშიაც საკმაოთ გამოერკვა. ოქტომბრის ტემის პარტია, რომელშიაც ის პირველათ ჩაეწერა, ორი თვის შემდეგ მიატოვა და კადეტებში გადავიდა. ამხანგთა შორის არ აშხელდა, მაგრამ, როცა ქარხნიდან დაბრუნებული თავისს ცოლმვილში ძველ მოგონებებს თავს მოხსნიდა, ნიკოლოზი გულწრფელად იცინოდა და მხიარულობდა.

— ვახსოვს, დედაკაცო, „ქეშმარიტ რუსთა“ პარტიაში რო ჩავეწერე? მეგონა იმაზე უკეთესი მთელს რუსეთში არაფერი იყო. ახლა იმათი მხოლოდ შეგბნელი მოგონება-და დარჩა. დღეს რო ვუკვირდები კადეტებიც ვერაფერი დამცველი უნდა იყოს პროლეტართა ინტერესებისა.

— კარგი ერთი, გეყოფა ამდენი ლაპარაკი, გააწყვეტინა აღფრთოვანებულ ქმარს მეუღლემ. — დღეს ქვეყნის სარეცხი მქონდა, თავი ძლიერ ვაწვართვი და საშინლათ დავიქანცე. დროა დავიძინოთ.

— კარგი, კარგი, მე თითონ ვხედავ, როგორ რვა საათის სამუშაო დღე პირდაპირ აუტანელია

ამიანის ორგანიზმისათვის. მუქთა ხორა ხალხი
 ამ არა გვეყავდეს სარჩენი, ყველა რომ თავისი
 რომით ირჩენდეს თავს, ან არა და ჩვენი ნაშრომი
 ამ თანასწორათ ნაწილდებოდეს განა...

— კარგი... კარგი... კმარა...

ერთი წელიწადი არ გასულა, რომ მუშა ნი-
 კოლოზმა ამხანაგთა ყურადღება მიიპყრო. მის შე-
 ბებ პლენანოვსაც მოახსენეს და ერთ კრებაზე ლე-
 ნინაც იკითხა მისი ვინაობა. ახლა ის უკვე სო-
 ციალ-დემოკრატია და დღითი დღე იზებირებს მარ-
 სის „კაპიტალიდან“ ამა თუ იმ ადგილებს.

— კლასთა ბრძოლა, ჩემო კარგო, დღეს დაწ-
 ბული და ჩემი მოგონილი როდია, ეუბნებოდა ის
 ვის მეუღლეს. ჯერ კიდევ ძველმა სოციალის-
 ტებმა მიაქციეს მას ყურადღება, ხოლო ჩვენმა მა-
 თავარმა კარლ მარქსმა მეცნიერულათ დაიმუ-
 ჯა და სისტემაში მოიყვანა ის. სოციალიზმი უტო-
 რა როდია. შემცდარი არიან ის ბურჟუაზიული
 რღებნი, რომლებიც ამას ამტკიცებენ. ჩვენი ხსნა
 ციალიზმშია.

— მეტის-მეტი არაფერი არ ვარგა, ჩემო კე-
 ლო. მთავრობა ისედაც ექვით გიყურებს. ძალათ
 დაეჩხირები თვალში. ბურჟუაზიამ კარგათ იცის
 ვისა საქმე. — მიუგო ცოლმა.

— რა ვქნათ, არა ერთი და ორი მსხვერპლი
 უწირავს ბურჟუაზიულ გაუმადლობას. მე არც
 რველი ვარ, არც უკანასკნელი.

ის იყო, პირველი მაისის დღესასწაული ახლოვ-
 ნობადა. მთავრობა გაფაციკვებით ადევნებდა თვალ-
 რს მუშათა სანზადისს. ფარული მილიცია კადეტ-
 სამინისტროსი ენერგიულათ მუშაობდა და შე-
 ვერ თალარიგს იჭერდა.

— ხვალ თავისუფლების მოედანზე სხვათა შო-
 სილაპარაკებს ცნობილი მუშა ნიკოლოზ რო-
 დევი, — მოახსენა პრეფექტს უფროსმა კომისარ-
 — შას განზრახვა აქვს მოუწოდოს ხალხს ბურ-
 აზიული წეს-წყობილების დარღვევისაკენ...

— რომელი პარტიისა?

— ბალშევიკი გახლავთ.

— შორით ადევნეთ თვალ-ყური და ნიშანში
 აღიეთ.

დადგა პირველი მაისიც. თავისუფლების მოე-
 ნი ხალხით აივსო ყოველის მხრიდან მოდიოდა
 მათა რაზმები წითელი დროშებით და ზედ უც-

ნაური წარწერებით. სუსხიანი, მშრალი დღე იყო.
 პროლეტარიატი სხვა და სხვა ტრიბუნათა გარშემო
 შემოკრბა. თავისუფლების ბრძოლაში დაცემულთა
 ძეგლის მახლობლათ ურიცხვ ხალხს მოუყრია თავი.

— ამხანაგებო! გაისმის მკვეთრი ხმა ნიკოლოზ
 რომანოვისა. — გაუმადლარი ვეშაპი, რომელსაც ბურ-
 ჟუაზია ეწოდება, ჯერ კიდევ ღრღნის პროლეტა-
 რიატის კეთილდღეობას. მის სისასტიკეს, სიფლიდეს
 და მტარვალობას ბოლო არ უჩანს. ჩვენი სისხლი-
 თა და ოფლით იდგამს ის ოქროს სასახლესა და
 განცხრომის ტახტს. დროა ამხანაგებო ბოლო მო-
 ელოს კაპიტალის სულ შემხუთველობას! დრა, დრო
 ამხანაგებო დაემხოს მუშათა ექსპლოატაციაზე დამ-
 ყარებული აუტანელი რეჟიმი. დროა დაემხოს კე-
 დელი ბურჟუაზიული მართვა-გამგეობისა რათა გა-
 მოანათოს ყველასათვის სანატრელმა მზემ სიცა-
 ლიზმისამ! ძირს...

გატაცებულ ორატორს ზრდილობიანათ სთხო-
 ვეს სიტყვა შეეწყვიტა და მილიციონერს გაჰყოლოდა.


მეორე დღეს გაზეთებში ეწერა: „პეტროგრადი
 შემადრწუნებელ ძალადობის მოწამე გახდა. „თავი-
 სუფალ“ რუსეთში თავისუფალი სიტყვისთვის კო-
 მისართან გაიწვიეს პუტილოვის ქარხნის მუშა ნი-
 კოლოზ რომანოვი. მიუხედავათ იმისა, რომ ტყვე
 ორატორი სადამოსვე გაანთავისუფლეს, ჩვენ მო-
 ვითხოვთ სასტიკი გამოძიება დაინიშნოს და დამნა-
 შავე ჯეროვნათ დაისაჯოს“.

მუშათა უბნებში ამ ამბავმა დიდი მღელვარება
 გამოიწვია. მუშა ნიკოლოზ რომანოვს აუარებელი
 თანაგრძნობის წერილები მოუვიდა, ქვეყნის ყოვე-
 ლი კუთხიდან.

ეშმაკი.



პატარა ფელეტონი



ვალერიან გუნია

ერთი მეგობარი მიმტკიცებდა: „ყოველ ადამიანს თავისი ბედი შუბლზე აწერიაო“. მე მაშინ არ ვუჯეროდი ჩემს კეთილის მყოფელს, დავიჯერე მხოლოდ მაშინ, როცა იგივე აზრი სულმნათი სოლომონის დღიურშიაც ამოვიკითხე.

ვალერიან გუნია ჩემი სიყრმის მეგობარია. მოღვაწეობა ერთად დავიწყეთ: მე „ეშმაკის მათრახში“, იმან კი „ნიშადურში“. ამიტომაც გადაწყვეტილი მქონდა მისი მოღვაწეობის დღესასწაულისათვის ჩემი გულწრფელი სიტყვა დამეწია.

დავიწყე ასე:

„ვალერიან გუნია, რაგონად ღრამატურგი.

უმთავრესი ღვაწლი ჩვენი დაუღალავი ღრამატურგისა მდგომარეობს იმაში, რომ მან განსაცვიფრებელის მოხერხებით დაგვიახლოვა ქართველებს უკრაინის მწერლობა. ვინც დღევანდელ ჩვენს ნაციონალურ-სოციალისტურ გაზეთებს თვალყურს ადევნებს, მისთვის აშკარაა, თუ რა დიდი მნიშე-

ნელობა აქვს ჩვენთვის უკრაინას. გუნიათ ეს გარმობა დიდხინით ადრეგაითვალისწინა და აშკარათუ ფარულათ გადმოგვიქართულა უკრაინული დამები.

ვალერიან გუნია, რაგონად მსახიობია.

ვალერიან გუნია მსახიობია. სცენაზე მუდმთვრალი გამოდის, მაგრამ სამაგიეროდ როლყოველთვის არ იცის. საუკეთესო მისი როლი, ოთარბეგის როლია, რასაკვირველია, არა მარტომიტიომ, რომ ოთარბეგი ღვინოზეა გადაყოლილ

ვალერიან გუნია, რაგონად იუმორისტი.

უკანასკნელი დარგი ხელოვნებისა ყველუმეტეს შარავანდელით მოსავს მგონის სახელს. მხრივ ჩვენ შეგვეძლო ეს ნომერი მისი აფორიზმით აგვევსო, მაგრამ სანიტარული კომისიის გშინია.

ვალერიან გუნია, რაგონად პუბლიცისტი.

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს იუბილრის ნიჭი პუბლიცისტიკაში. იოსებ იმედაშვიდმოწინავეები მის წერილებთან მონაგონი არ არჩვენ არ ვიციოთ რა აზრის იყო მის შესახებ ნეტხსენებული აკაკი, მაგრამ ივანე გომართელი მუაღფრთოვანებულა მისი წერილებით.

ვალერიან გუნია, რაგონად ტალუმაში.

ვისაც ჰქონია ბედნიერება იუბილიართანფისა, დარწმუნებული ვარ ეჭვს არავინ შეიტანსზეგარდმო ცხებულ თამაღურ ნიჭიერებაში. ყურადღებოა ისიც, რომ სიმთვრალეში მუდამართლეს ლაპარაკობს და ჩხუბიც არ უყვღვინო წითელი უყვარს, განურჩევლად ფირმისა

ბედი და ვალერიან გუნია.

მართალია ბედმა კარგა ხანს ანებრივა ჩდაუღალავი მოღვაწე, მაგრამ ამ ბოლო დროსთქმის ჩაამწაროს ყოველივე. ვალერიან გუნიასმადას უკარგავს მუშათა პარტია, სოციალ-დკრატია. საკმარისია დილით ყური მოჰქრას ამხელს, რომ სადილობამდე წვეთი ღვინო არყლაპოს და არ დაითვრეს.

და აი ბედმა, თითქო გნგებოა, სწორეთიუბილეს დროს მოჰფინა მთელი რუსეთი და

ართველო მუშათა დეპუტატების საბჭოებით. სწორედ მის დღესასწაულზე მოხდა ეს უბედურება და აღსმა თავისუფლება მოიპოვა. იმდენი ხნის განაგებლობაში მარხა მან ეს აბეზარი ერთობა და გაიქცა, რომ სწორედ იუბილეს წინ გამოუხტა და ამოწარა სიტკბოება იუბილეისა. დღეს, გუნიას აზრით, ასწილ საზიზღარი იქნება ერთობა, ვინაიდან მან ღვინოც აკრძალა.

მორიელი.

ნიკოლოზ II.

ის მეფე იყო, მაგრამ წუმპეს შინგ ვერ აცდა: მან წამოიხსა გარეუნილები ურცხვი მანტი. მანამა ვაჟათა ჩვეულება მან ვერ დატია: ისწლით და ცრემლით მორწეულ გზას ვერც იგი გასცდა. მან ვერ შეიგნო ტანჯულ ხალხის ტკივილი, განცდა: მისა შავ ბურს უკრავდა ძვირფას ხალათებს, მეფის სვე-ბედი ხელში ეჭურა გულ-სვავ ჯალათებს... მაგრამ დრომ დატკრა და მტარვალსაც კბილები დაწვდა. მღვსვი ზის იგი თხსკედელო გამომწვედგული და ეკითხება თავისთავს: ასე რად მოხდა?! მის ბრძანებულს ერის შოფტი ზურგში რად მოხვდა?! და წითელ დროშებს გასცქერს შორით ცრემლ-მორეული. მის გუგუნო თავისუფალ მოქალაქეთა მანამს გუგუნო, რომ მზე მიწვდა მის ხელს საქმეთა.

გ. რუხაძე.

ერთი ქალიშვილის დღიურიდან

აწ. ჩახოვი

13 ოქტომ. ეშველა! ჩვენსკენაც მოიხედა ბედის ვარსკლავმა. უყურებდა თვალებს არ ვუჯერი... მემი ფანჯრის წინ სეირნობს მაღალი, მოხდენილი ვაჟი. შავგვრემანი სახე, შავი თვალები... უღვაშები, საუბროვოა, მშვენიერებაა! აგერ ხუთი დღეა, რაც დილიდან საღამომდი დადის და სულ ჩემ ფანჯარას უყურებს. თითქოს ყურადღებას არ ვაქცევ... იტანჯოს.

15 ოქტომ. დღეს აქ კოკისპირული წვიმაა და

ის საწყალი კი დადის და დადის. ჯილდოთ თვალი ვუქენი და კოცნა გავუგზავნე, მიპასუხა ღვთაებრივი ღიმილით. ვინ არის? ჩემი დაი ვარიჩკა ამბობს: — მე ვუყვარვარ და ჩემთვის იწუმპება წვიმაშიო. რა უზრდელია განა შეიძლება შავგვრემანს შავგვრემანი შეუყვარდეს? დედამ გვითხრა: — კარგათ ჩაიცვით და სულ ფანჯარასთან ისხედითო. „შეიძლება ვინმე ჯიბგირია და შეიძლება პატიოსანი კაციც იყოსო... ჯიბგირი?!. სულელი ხარ შენ, დედაჩემო!..

16 ოქტომბერი. ვარიჩკა მეუბნება: „სიცოცხლე გამიმწარეო“. რა ჩემი ბრაღია, რომ მე შეუყვარდი და არა ის? უცაბედათ დავაგდე მის წინ ქვაფენილზე წერილი, შე, ეშმაკო! დაიწერა სახელოზე ცარციო: „შემდეგ“. მერე დადიოდა, და დასწერა ჩვენ პირდაპირ ქიშკარზე: „მე თანახმა ვარ, მაგრამ შემდეგ“. დასწერა ცარციო და მაშინვე წაშალა. რაისთვის მიფეთქს გული?

17 ოქტომ. ვარიჩკამ ნიდაყვი მკრა გულზე. საძაგელი, საზიზღარი, შურიანი! დღეს იმან გააჩერა „გოროდოვოი“ და დიდხანს რაღაცას ელაპარაკებოდა, თან ჩვენი ფანჯრისკენ უთითებდა, რაღაცა ეშმაკობას აპირებს: ალბათ თუ მოისყიდა... ტირანები და დესპოტები ხართ, თქვენ მამაკაცებო, მაგრამ რა მაცდურნი და მშვენიერნი ხართ!..

18 ოქტომ. დღეს ჩამოვიდა ჩემი ძმა სერიოჟა. დიდი ხანია შინ არ ყოფილა, ვერ მოასწრო ლოგინში ჩაწოლა რომ მაშინვე პალიციაში წაიყვანეს.

19 ოქტომ. ქვემძრომი თურმე თორმეტი დღეა ის შავგვრემანი კაცი ჩემ ძმას უყურებდა; დღეს დასწერა ქიშკარზე: „მე თავისუფალი ვარ, შემიძლია! პირუტყვი! მე ენა გადმოგუგდე.“

თარგ. ზალიოსი.

შ ა რ ა ლ ა

რევოლუცია დაიწყო, გრძობას გაელო კარია, გამიყოლია მუხებმა გარდავლეთ მთა და ბარია.

დავლურს უვლიდენ ფიქრები ჩვენს გადათელილ გზაზედა; ვილას ახსოვდა ლექსები, ვინლა ფიქრობდა მასზედა.

მაგრამ დახედეთ განგებას,
სად ვარდი გაფურჩქნულია,
იქვე, ფოთლებში, ღეროზე
ეკლისაც მოსჩანს კბილია.

და იმა ეკლის შარადას
გვსურს შევალთოთ ნიქები,
თქვენ კი გამოხსნას ეცადეთ
ვინცა ხართ მარჯვე ბიჭები.

— : —

ცეცხლზე ლობიო თუხთუხებს...

საკმაზი უნდა ამასა,
ბოსტანში გასწით საჩქაროთ;
(გემო რო ჰქონდეს ჰამასა)

დაჰკრიფეთ გრძელი ფოთლები,
(კარგათ დამიგდეთ ყურია,
ჩვენ ის გვჭირია. და არა
ქინძი, თუ ნიახურია).

მის სახელს სამი ანბანი,
თავში წაკვეცოთ ლამაზათ,
ის დაგვჭირდება და სხვა კი
ლობიოს მივცეთ საკმაზათ.

— : —

შემდეგ სხვა „ფრონტზე“ ვაგზავნეთ
ეგ თქვენი ჰკვა და გონება;
რა ჰქვიან ქალწულ ქათამსა,
აბა ვის მოეგონება.

სახელს იმისას თავიდან
წავართვათ ორი ნიშანი
სხვა გადავყაროთ, ეს იყო
ამ ჟამად ჩვენი მიზანი.

— : —

აწ მოდი, ნახეთ „მახვილი“,
სულ პაწაწინა ზომისა;
შუბზედაც უძლიერესი
მხატველი აზრთ და გრძნობისა.

აიღეთ ხელში ჩაქუჩი,
მოსტეხეთ ორი ანბანი;
სხვა ჩვენთვის მეტი ბარგია
წვერ მოტეხილი საგანი.

— : —

და როცა ესეც შემატოთ,
მყის დაადექით გზაზედა;
ხალხი რომ მიტინგს გამართავს,
იქ ნახავთ ტრიბუნაზედა.

გახსნია ენის ბორკილი,
ხელ აღებულსა თავზედა,
ეტყობა ლაპარაკისა,
მადა მოსვლია ძალზედა...

აი, მის სახელს რო ნახავთ,
მოჰგლიჯეთ დათვის ფეხია;
ორ მარცვლისაგან შემდგარი,
(სხვას კინჩხიც მოუტეხია).

—

ახლა ააწყვეთ გულდასმით,
დახედეთ აქ ვინ სწერია?!
მოდღერის გამცემი, იუდა,
მოდმის და ქვეყნის მტერია.

დღისით ჩვენთანა „მებრძოლი“,
ღამით საფლავის მთხრელია;
ბევრსა არგუნა ციმბირი,
ციხის საკანი ბნელია.

და დღეს ამ ქვეყნის ღბინის დროს,
მრავალ ცოდვების მქნელია,
თვით ეშურება ბნელეთში,
გამცემი გამყიდველია...

როკოკო.

ხელოვან ასეთი უნდა!

(ნაწყვეტი: „სოფლელი კაცის ფიქრები“-დან)

ყოფილი დიდი მთავარი მიხედავ ალექსანდრეს-ქე დიდის ჰადივისტემით ეშურება ის გლისის წეს-წესობილებას, სადაც მეფე მეფობს და კი არ ერევა სახელმწიფო საქმეებში, ისევე, როგორც არავინ ერევა სოფელში მის მეფობაში.

(ძველი გახეთქიდან)

— ძალიან კარგი ხელობაა ღმერთმანი!.. იმეფე რალა! ხელს არავინ გახლებს და არავინ დაგიშლის მეფობას... შენც რა ღმერთი გაგიწყრება რომ დაუშალო სხვას რამე!.. სახელმწიფო ვისაც უნდა იმან განაგოს, როგორც უნდა ისე... შენ კი იმეფე... სიმართლე გითხრათ მოსვენებული და სუფთა საქმეა... ხელობაც ასეთი უნდა სწორეთ!.. არავის აწუხებ, არავინ გაწუხებს... მიხეილ ალექსანდრეს ძეს ძლიერ მოსწონს ესაო... ჰმ... ვის არ მოეწონება აბა?..

თარაში.

საქოს წერილი ცოლთან

(წერილი ბრძოლის ველიდან).

მოი ზალატოი, სირანუშ! პაზდრავლაიუ ტებე ნოვიმოლნი პრაზნიკ უპადანია გოსუდარია იზ ტახტუ ნა პოლუ ი ცალუი ტვოი ბეხაცენიშია გუბი. არა, ძალიან ფეხისა კი ვყოფილვარ აი! ჩამოველ თუ არა მაშინვე მოხდა ეს უღივიტელნი ამბები რაღა! სულ ორი თვე არ არის რაც შენ მოგშორდი, მაგრამ ასე მგონია წელიწადია მეთქი. ახ დროებს რა უთხრა, თორემ განა ჩვენ დასაშორებელი პარა ვართ! მე შენ გითხრა ჩხუბი და წყენა მოგვაგონდება ერთმანეთისაგან აი! ბუზების საჭერი ქალღმრთელი ვიყავით ერთმანეთზე მიწებებული და სულ ბუღბუღივითა ვჭუჭუჭუკებდით. ცოდო არ არის, რომ მე აქ ცხრა მთას იქით ვიყო გადმოვარდნილი და შენ კი მანდ მარტო ფრთა მოტეხილი ინდაურივით დაფარუტებდე უჩემოდ! ნეუყელი შენ ამისთანა დროს მარტო უნდა იყო წამოსკუპებული იაქესავით! ეხ, სირანუშ, არა უშავს რა. გულს ნუ გაიტეხ. დღეს ისეთი სლუჩაინი რამე მოხდა და ისე მაშენტალნათ გადატრიალდა რუსკი პრავიტელსტვა, რომ ჩვენც იმ გადატრიალებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. მი დაღენი პავერტევიტ სვოი როტოვოი*) ინტერეს ნა ველიკი დელა. ტეპერ მი ესე გრაჟდანი. შტო ხატისოვ, შტო ია სერავნო. საჭმელებს გვაძლევენ იმისთანას, რომ თითქოს შენი ბროლის თითებით იყოს გაკეთებული ახლა პატივს არ იტყვი! დენერალი, პოლკოვნიკი და აფიცერი ყველა ზდილობიანათ გვიხსენიებს: „გასპადინ სალდათ, შტო ვი ჟელაიცაო“ საწყალმა დედინემის საფლავმა ძლივს მაისვენა რაღა ვა, რა გაზეთი, რა ჟურნალი, რა კრებები! ერთი სიტყვით, სირანუშ, ძალიან ზორბა რამე ყოფილა ეს სლაბოდა. რას ამოზობ გოგო, წინათ რომ წერილს მივიღებდი ათასნაირი გახსნილ-დაწებებული იყო. შენი წერილი ერთი არ მიმიღია ისე, რომ ვილაც ცენზურის დინგ ნაკრავი არა ყოფილიყოს მერე შენც მოყვებოდ: აღიანი, ჩალიანი და თუ რამე სეკრეტები იყო ყველაფერს შიგ გააქრელებდი. არა, კარგი რამეები კი ეწერა და ძალიან ეშხუნედაც მოვდიოდი, მაგრამ სხვა რომ კითხულობდა ის მამბრაზებდა.

*) როტოვოი — შირაღუდი.

ახლა სწერე რაცა გსურდეს,
გამიხარე, სირან, გული,
შაიბრალე შენი საქო
ცხრა მთას იქით დაკარგული!

—:—

სლავა ბოლუ გადავადეთ:
ის ჯალათი, ის ცენზურა,
ახლა წერილს ველარ გახსნის,
შემძვრალია სოროს ტურა.

—:—

ახ, რა მკლავს და რა მაწუხებს,
გოგო, შენი მოშორება,
ამისთანა დიად დროში
უძეო და უშვილობა!

—:—

რევოლუციას ბიჭები
უნდა, სირან, ხომ გაიგე!
მუდამ ეგრე ხომ არ ივლი,
ერთი ვაჟი შენც მაიგე.

—:—

ღმერთმა თუ კი გააკეთა
კაცი უცებ მიწა-ქვიშის,
შენ რა ქითაბი გაგიწყრა,
ნუ ხარ, გოგო ჯორის ჯიშის

—:—

გამახარე გენაცვალე,
გააქრელე წერილები
და მამწერე შენებურათ
რაზნი-რაზნი ნოვოსტები.

—:—


ადრეს პიში: ჩემსა საქოს,
გრაჟდანიანსა სახე რგვალსა,
გადაეცეს ესე პისმა
სავსემ დივიზიის თვალსა.

გოგია.

დ ე კ ე შ ე ზ ი.

ქ. ბათუმი. ბათუმ-ტრაპეზონის რკინის გზის „პოდროიჩიკთა“ კრებამ, სხვათა შორის გამოიძუშავა: რომ, ის ფულები, რომელიც მათთან მომუშავე ბუშებს წააღლიტეს,—რაც მათ გადაჩრება, შესწირონ რაიმე კულტურულ დაწესებულებებს.

ქანდაკეზა




ვალ. გუნია თქვენ უმჯობესად ეს ქანდაკება იუბილესთვის უნდა მიმისწრთ. მაგრამ ეცადეთ უფუფემსრივ შეეხთო საკითხს, საჭიროა მთელი ჩემი მადვანება და ფიგურა გამხსნათ.

მ. ჭიაურელი. ჩინებუდა, მაგრამ მთელი ფიგურისთვის ბევრი ტალახი იქნება საჭირო.

ვ. გუნია. რგორ? ტალახი? მას ჩემი მადვანება თქვენი აზრით... ტალახი. მე თქვენ... გამშორდით...

მ. ჭიაურელი. მე... თქვენ ვერ... ვერ...



კური ჩვენი არსოვისა



ქმარი. დმერთო ჩემო, საიდან დაბრუნდი ასეთ საირად?
 ცოლი. როგორ თუ საიდან, ფურნის წინ რიგში ვიდექი... არ გიკვირს, რომ ზუ-
 რი ვიშოვნე...

იქიდანვე. „პოდრიჩიკმა“ ბ-მა მასხარა—მა საზ. საკრებულოში გამართულ ფინჯან ჩაიზე, იქეიფა, შამპანიური ღვინო სვა, დროება გაატარა და ამით სარგებლობა მოგვცა. აი, როგორ შეიძლება გაძვალ-ტყავებულ მუშებისაგან ანაწაზნ ფულებით თავის გამოჩენა! განა, ეს ფულები რომ, თვით მუშებთან დარჩენილიყო „ობშესტვენი სობრანიაში“ იქეიფებდნენ?

იქიდანვე. თერთმეტ აპრილს თ-დი ერის—ვი (უკაცრავათ მოქალაქე) საკუთარი „კარეტი“ სეირნობდა და კარგ ხასიათზეც იყო.

იქიდანვე. სახელგანთქმულმა ხაინძრავამ კონტრ აგენტმა (ობერ პოდრიჩიკმა) 6789 ფუთი ლედინსკი „კონფეტი“ შესწირა ზოგიერთ ბათუმში მოსიარულე კოლოკოლისტ „ბარიშნებს“.

იქიდანვე. არც „პოდრიჩიკ“ მოს—ლს და არც ც—ნავას ჯერ იმდენი არაფერი აუძვრია მუშებისათვის, რომ ქველმოქმედობით ქვეყანა გააკვიროვონ. „პერეგოროტი“ რომ არ მომხდარიყო იცოცხლეთ, ისინი სხვას არ ჩამოუვარდებოდნენ.

ისკანდერ.



ყარალები

(შეათხველს უმორჩილესად ვთხოვ, ეს ტრაგედია შილეს რის „ეჩნალებთან“ არ არის).

ტრაგედია ერთ მოქმედებათ.

მოქმედება სწარმოებს პეტრე-პავლეს ციხეში.

მომხმედნი პირნი:

ნიკოლოზ რომანაშვილი—ყოფილი მეფე სრულიად რუსეთისა.

ალისა—მისი მეუღლე.

რასპუტინის სული.

პროტოპოპოვი—იუდა-ისკარიოტელი.

შჩეგლოვიტოვი—ვანკა კაინად წოდებული.

შტიურმერი.

ფრედერიქსი.

გორემიკინი.

ვოეიკოვი.

ტრეპოვი.

ივანოვი.

გოლიცინი.

სუხომლინოვი.

საბლერი.

მაკაროვი.

დუბროვინი.

მაკლაკოვი.

რენენკამფი.

ქ-ნი ვირუბოვა.

რიმანი.

ქ-ნი პოლუბოიარინოვა.

მეფის ამაღა, ბიუროკრატები, ჟანდარმები და სხვა...

გორემიკინი (გულ დაწვეტილი). ეჭ! „სიბერემდის სიქანელა“! ამასაც ხომ მოგვეწარი შე უბედური. მაშ აქედან ჩემის ნებით ვეღარ გავალ? ეჭ, შე ოხერო თავისუფლებას! რა კარგი უოფილხარ!.. (ქვითინებს).

შჩეგლოვიტოვი (მრისხანეთ). რა? თავისუფლებას? აი შე ბებრუსუნა! ხმა ჩაიწვევით, თორემ სულ წვერებს დაგაგლეჯ; შენ მაინც კი მოკერევი (იღება ციხის კარები და შემოჭვავთ პროტოპოპოვი).

პროტოპოპოვი (ჩოქვით და შირჯვრის წევრით). ვხედავ თვით დმურთს!.. ვხედავ მის მსხვილს!.. დიდ აარს დმურთი! დიდება მის სახელს!.. (შირჯვრის წევრს უსშირებს და სადმერთო სიტყვებს იმეორებს. ვეკლანი გაოცებულნი შეჭერებენ).

შჩეგლოვიტოვი (გაკვირვებული). კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი? ეგ რა მოგდის?

პროტოპოპოვი (ამოიხსრებს). ეჭ ჩემო კარგო! რომ იცოდე ჩემი განზრახვა, ასე არ იტყოდი. შინდო და თავი მომეგვიანებია, ეგები გამანთავისუფლან-მეთქი. ესენი ჩემზე ეშმაკები უოფილხან... რას იხამ უნდა დავემორჩილოთ ბედის წევრს. (კარები იღება და შემოჭვავთ სუხომლინოვი).

სუხომლინოვი (გაკვირვებული). ვერ გამიგია ამ ხალხის საქმე!.. ქრთამს რათ იღებდიო!.. სულელები!.. ჯერ ერთი რომ შე ქრთამს კი არა, საჩუქრებს ვიღებდი და მეორე... კიდევ რომ ამეღო განა ეს დანაშაული? მაშ რის შინისტრი ვიუავი? სამშობლოს ვუღალატო!.. საკვირველია დმურთმანი! მუქთად ხომ არავისთვის გადამიტია რუსეთის ტერიტორია. შე ჩემი ტაქსა მქანდა და სინიდასიერთა ვასრულებდი. მაგალ. კოფნა მტერს და ვუსვი სამი მილიონი, ვარშავა სუთი მილიონი, ბრესტ-ლიტოვსკი ოთხი და სხვა... ამას კარდა, თუ ნიკოლოზ

ვუღალატე, სამაგიეროდ ვიღებულმს ერთგულად ვემსახურებოდი. ამას დაამოწმებს ბ-ნი შტიურმერიც... (იღებს კარები და შემოჭყავთ შტიურმერი).

სუბომლინოვი (განარებული განაგრძობს). „ძალი ახსენე, ჯონი გვერდზე მოიდეო“ — ამასედ იტყვიან. მეგობარო! ერთი გააკვებინე ამ ხალხს, რომ მე და შენ ერთგულად ვემსახურებოდით ვიღებულმს.

შტიურმერი (გაკვირვებული). განა მაგაში ეჭვები შეაქვს ვისმე? (შემოჭყავთ დუბროვინი).

შიეგლოვიტოვი (განარებული). გამარჯობა მეგობარო! შენ რადამ მოგიყვანა აქ?

დუბროვინი (დაბნეულად). ისე... სხაიეში მივდიოდი ძმა ბიჭებთან და გზა შემეშალა.

შიეგლოვიტოვი. წარმიადგიინეთ მეც ასე მომივიდა. დღეს დღით სამინისტროში მივდიოდი და რაღაც სასწაულით აქ კი ამოვუყვ თავი...

შტიურმერი (დუბროვინს). თქვენც სამშობლს დალატს ხომ არ გაბრალდებენ?

დუბროვინი (გაკვირვებით). ნუ გავიწყდებთ ბ-ნო შტიურმერო, რომ მე ჭეშმარიტ რუსს მეძახიან. მე ისე მიუყვარს ჩემი სამშობლო, რომ მისი გულისთვის არა ერთი და ორი „ურია“ გამოვტოვებია. მიზანში არასოდეს არ ამიბდენია. გაიხსენეთ მაგალ. გერტენშტეინი, იოლოსი და სხვა... ვენაცვალე იუშეკვიჩი-კრასკოვსკის ისიც ძალიან უმიზნებდა ზურგში.

შიეგლოვიტოვი (პირზე ნერწყვი მოსდის). ძალიან ბიჭი იყო. მეც იმიტომ გავნათავისუფლე სასჯულისაგან. სათათბირის წევრი ხომ არ იყო ციშიბარში გამეგზავნა. მე როგორც იუსტიციის მინისტრი სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპს ვიცავდი და ბევრის თავიც გავასწორე სახრჩობელას წინაშე. ასე გაშინჯეთ ჩემ დროს თოკებიც კი გაფიქრდა. თუმცა ორიოდე დეპუტატის თავი გადამჩნა გაუსწორებელი, მაგრამ... (შემოჭყავთ რიანი).

დუბროვინი (რინიანათ). გამარჯობა, ბიჭებო! გახსოვს; მეგობარო, 1905 წელი? როგორ იყო ერთი გვიამბე!

გენერალი რიანი (ადფრთხვანებით). მე მაშინ მსოფლად პოლკოვნიკი ვიყავი. ლატიშელთა დასამშვიდებლათ გამგზავნეს. შუა ღამე იყო ერთ ღარიბ დედაკაციის სახლს რომ მივაღვეით. ვცხე წინდი და კარები

შევანგრეთ. უცტრივ იატაკზე რეგოლეკერი შევამჩნიე. იქვე ახლოს იმ დედაკაცის ახალგაზდა შვილს ეძინა. მე მაშინვე მივხვდი, რომ ის მძინარე ახალგაზდა რეგოლეკერი იყო. ავიღე რეგოლეკერი და ტყვიის შიგ შებღეში ვცხე. დედა ტირილით მუხლებზე შემომხვია. მეორე ტყვია კიდევ იმას ვესროლე გულში. შვილის და დედის სისხლი ერთმანეთში აირია. საუცხოვრო სურათი იყო!..

შიეგლოვიტოვი (ნერწყვი-მორეული) ვაშა! ვაშა! ავი იმიტომ დაგაწინაურეთ და გენერლობა მოგეცით... (შემოჭყავთ საბლერი, რენენკამოვი და ფრედერიკი).

შტიურმერი (მათ დანახვაზე შემოსძახებს). გაუმარჯოს გერმანიას!

საბლერი. | კრთად მდებრან: „დოინლანდი დოინლანდი იუბერ ალეს!..“
რენენკამოვი. |
ფრედერიკი. |

პროტოპოპოვი. | გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..
შიეგლოვიტოვი. |

მაკაროვი (დინჯათ). Такъ было, такъ будетъ!

შიეგლოვიტოვი (გაკვირვებით). შენ ხომ არ გასულედი ჩემო ძმაო?

მაკაროვი (იმერებს). Такъ было, такъ будетъ!.. სულელები! ღენზე მუშები რათ დახტესო? დიდი რამეა ერთი სიტყვით! მუშები მინისტრები ხომ არ არიან? Такъ было, такъ будетъ!..

მაკლაკოვი (მწარეთ ამოიხსნებს). ძალიან ჯავრი კი ვიყარე ვუღალაზე, მაგრამ ჩემი საკუთარი ძმა-დეპუტატი რომ ვერ ჩამოვხსნიე, ეს კი დიდი შეცდომა მომივიდა. (შემოჭყავთ ტრეპოვი და გოლიცინი).

ტრეპოვი (მხიარულად). ბონ-ჟურ!

მაკლაკოვი. თქვენ რაღათ შობრძანებულხართ?

ტრეპოვი (გესლიანად). რაღაც თქვენ! მე თუმცა იმდენი არა გამოიკეთებია-რა, მაგრამ მე ცხონებული მამა-ჩემის პრეტექციის წყალობით მოხვდი აქ. ხომ გახსოვთ მისი დიდებული აფორნიში: патроновъ не жалѣть!**)

*) გერმანელების ნაციონალური პიშია.
**) „პატრონებს ნუ დაზოგავთო“! რასაკვირველია მინისტრის სბხეში ჰქონდა თოფის პატრონა და არა სახლის პატრონი!

გოლიცინი (გაკვირვებული). მე ჯერაც არ ვიცი: ან მინისტრათ რატომ დამნიშნეს, ან აქ რათ წამომიყვანეს. ჩემთვის მოსვენებით ვეგდე სახლში და ჰუნსიას ვიღებდი. უეცრივ რუსკინიტი მომხალეს: მინისტრათ უნდა დადგეო. მე რასაკვირვებელია უარი განვაცხადე: აბა სად მქონდა მე უბედურს იმოდელა ჭკუა და გამოცდილება. მაგრამ ჩემმა ცოლმა შემატინა*). ნუ გეშინიან: რუსეთში მინისტრი რაც უფრო სულელია, ისა სჯობიაო. მეც დავთანხმდი. ეჭ!

ტრეპოვი. მაინც რაზე გემდურნიან.

გოლიცინი. გინდა თუ არა სათათბიროში უნდა ილაპარაკო. კაცო ორი სიტუვა ერთად ჩემ სინცოცხლეში არ მითქვამს, აბა როგორ უნდა შელაპარაკან იმოდენა ხალხში. მეც ვიჭექი მუნჯაოთ. (უეცრივ გაისმის საშინელი ხმაურობა და ღრიალი. უკვლანი ფეხზე წამოცვივიან).

პროტოპოპოვი (პირიდან დობლებსა ჭერის). მიშველეთ! ამას რას ვხედავ! (პირჯვარს იწერს). გრიგორი გრიშა! წმინდაო გრიგოლი! წმინდაო ძლიერო. ჭაერში ელანდება რასხუტინის სული). ხედავთ? ხედავთ!

უკვლანი ერთხმათ. ვხედავთ! ვხედავთ! ძვირფასო შეგობარა!.. (შემოცვივიან ქ-ნი ვირუბოვა და ჰოლუბოვარინოვა და მივარდებიან რასხუტინის აჩრდილს).

ვირუბოვა (ისტერიულად). Душка Григорий! **პოლუბოვარინოვა** (თითების მტვრევით). ახ!.. (ისმის ტელეფონის წკარუნი. ტელეფონთან მიდის ქ-ნი ვირუბოვა).

ვირუბოვა (ხაზათ). უურს გიგდებთ, ვინა ბრძანებებით?

უცნობი ხმა. ჩვენ ნიკოლოზ მეორე იმპერატორი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლანეთისა, დიდი მთაქარი ფინლიანდიისა და სხვა და სხვა... გიბძანებთ უური დამიგდეთ. (ამ სიტუვების გაცნებაზე ქ-ნი ვირუბოვა ელდა ნაცემივით მივარდება შვედლოვიტოვს და იათრეუს ტელეფონისკენ).

შიგლოვიტოვი (ხმის კანკალით). გვიბძანებთ იქვენო დიდებულებავ!

ნიკოლოზ მეორე (გესლიანათ). ვანკა კანი! აბა რთი დატრიალდი შენებურათ. დღეს არა სსსიამოვნო

აშბები გავიგე. ამობენ ჰეტროგრადში მუშები და ვიდაც სულელები აჯანუბებულანო. რას მირჩევ ეხლა?

შიგლოვიტოვი (ენერგიულად). მე უკვე ზომები მივიღე თქვენო დიდებულებავ. ბძანება გავუცი რომ ნევის პრესპექტზე სულ სახრჩობელები ჩამწერივდეს რევოლუციონერებისთვის... საქმე კარგად არის ნუ გეშინიანთ.

ნიკოლოზ მეორე (ხერვებ აშლილი). ეს არაფერს მიშველის. თოკები აღარა შეოფნის შე ქოფავო შენს! სხვა რამე ხერხი მოიგონე თორემ... (შეშინებული შვედლოვიტოვი მივარდება ვოეიკოვს და ტელეფონთან მიათრეუს).

ვოეიკოვი (ძალზე შეზარხებული). რას გვიბრძანებ თქვენო დიდებულებავ?

ნიკოლოზ მეორე (იმედ დაკარგული) მიშველეთ! ჰეტროგრადში ჯარი ამიჯანუდა!

ვოეიკოვი (არხენიანად). ნუ გეშინიანთ თქვენო დიდებულებავ! მინსკის ფორტი გავხსნათ და გერმანიის ჯარი შემოუშვათ რევოლუციონის ჩასაქრობათ

ნიკოლოზ მეორე (კანკალით). ვცადე, მაგრამ ჯარის კაცები არ შერებიან (ტირის. ამ დროს მივა ტელეფონთან ალისა და ტელეფონის ტრუზკას გაბრაზებული თავში ჩაარტამს თავის უავგოსტოვს ქმარს).

ალისა (მრისხანეთ). მოშორდი შე ღახარა!.. (ხერვოულათ რეკავს ტელეფონს).

ვოეიკოვი რას გვიბრძანებთ!

ალისა (მრისხანეთ). გენერალ ივანოვს დამიძახეთ! (ივანოვი კანკალით მიდის).

ივანოვი რას გვიბრძანებთ თქვენო დიდებულებავ?

ალისა (ენერგიულად). ემ საათში შეჭკრიფე შენი ეშელენები და წამოდი რევოლუციონის ჩასაქრობათ.

ივანოვი. დიდის სიამოვნებით, მაგრამ ჯარი არ მომდევს. უკვლამ იარაღი დაჭყარა...

ალისა. (განრისხებული ტელეფონს რეკს). მამ დამიძახეთ მაკაროვს!

მაკაროვი. (მოდის ტელეფონთან კანკალით). გვიბძანებთ!

ალისა. (მოუთმენლად). მუშები აჯანუდნენ. საჭიროა რევოლუციონის სწრაფი ჩაქრობა. შეგიძლიანთ თუ არა?

*) გეხსომებათ, რომ აღამიც სწორეთ ევამ შეაყდინა.

მაკაროვი. (ჭკუაზე ჭერეუელი). Такъ было, такъ будеть!..

ალია. (განრისხებული). Дуракъ!..

(მაკაროვი ელდა ნაცემი შორს გასტეხა. ტელეფონის ზარი განუწყვეტლივ რეკავს. მინისტრებ შორის საშინელი ჩიხივლია. ტელეფონთან მისვლას ვეღარავინ ბუღავს. უეცრივ ვეღვას უურადდება პროტოპოპოვს მიაჩერდება.)

ყველანი ერთხმად. შენ შენ უნდა მიხვიდე ტელეფონთან! შენი ჯერია!.. (პროტოპოპოვს მიათრევენ ტელეფონთან).

ალია. (მრისხნეთ). ვინა ხარ?

პროტოპოპოვი. თქვენი უდიდესი მონა პროტოპოპოვი. რას გვბრძანებთ, თქვენ დიდებულებო?

ალია. (აღერსიანათ). აბა ჩვენ უკანასკნელ იმედო. ხალხი უნდა დამშვიდოთ. რას მირჩევ?

პროტოპოპოვი. დარიგებისთვის მიმართეთ რას-მუტინის სუფს...

ალია. (სიამოვნებით). მე გუშინ რასმუტინის სუფი აბანოში გამომეცხადა და მითხრა, რომ რევოლუციის ჩაქრება მხოლოდ პროტოპოპოვს შეუძლიანო!..

პროტოპოპოვი. (აღტაცებით). მამ კარგი, რახან კგ რასმუტინმა სთქვა უბრალოდ ჩაქრება რევოლუციის.

ალია. (ცნობის მოუვარეობით გატაცებული). მართლაც, თქვენ მანდ რას აკეთებთ? საკვირველია, რომ ვეღვას ჩემი მინისტრები მანდ არიან.

პროტოპოპოვი. (იბნევა). არაფერს... ისე... შემთხვევით შევიყარეთ. სამინისტროს კრება დანიშნული.

ალია. (სწრაფად). Ну! დრო აღარა მაქვს. მაინც მითხარი ახლა რას აპირებ?

პროტოპოპოვი. (კმაყოფილი). მე უკვე ბრძანება გავცი, რომ უკვლავ სადრების სამრეკლავო ტეფონის მტურტრნელები აიტანონ და დანიშნულ ვადაზე ხალხს დაუშინონ. ამის გარდა თავრიდის სსსხლე, რომელიც ამ ჟამად რევოლუციის ბუღვა, უნდა მისასთან გასწორდეს იმავე ტეფონის მტურტრნელებით...

ალია. (ისტერიულად). ჩქარა... გვიშველოთ!.. რევოლუციონერი ჯარი ჩვენს სსსხლეს შემოერთვა... გვატუსალებენ... გვიშველოთ... (ტელეფონის ხმა წყდება).

მინისტრები. (ერთხმად). ახლა მამ გათავდა ვეღ-

ლაფერი? (განძის საშინელი ღრიალი. საერთო ხანკაა. თავ-ზარ დატემულ შიკვლავიტოვს ფერი მისდის. დიდი ხმაურტრისკან იღვიძებს გორემიკინი, რომელსაც აქამდის სულ ეძინა. პროტოპოპოვი ზირქვე დატემა და ღვტეებს კითხულობს. ვირუბოვას და პოლუბოარინოვას გულ მისდით).

ღუბროვინი. ბ-ბო! დამშვიდდით! ასე ღრიალ არ შეიძლება. ჩვენ თავს როგორმე უნდა ვუშველოთ, თორემ ტული დღე მოგველის. საჭირთა ერთად მოლაპარაკება და რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა. (უფლან ხელ-ნელა მშვიდდება. კრება იხსნება და თავმჯდომარეთ იჩხევენ შიკვლავიტოვს).

შიგვლოვიტოვი. ბ-ბო! ვეღვას ვთხოვ თავი აზრი გამოსთქვას. დრო ძალიან ცოტა გვაქვს და მხოლოდ პრაკტიკული წინადადებები შემოიტანეთ.

სუხომლინოვი. ბ-ბო! ჩვენ ერთი-დას დაგვჩენი რომ ვეღვანი აქედან წავიდეთ თავ-თავიანთ სახლებში **შტიურმერი.** (ცბიერად). რომ არ გავიშვან?

შიგვლოვიტოვი. როგორ თუ არ გამოიშვან? მინისტრს ვერავინ გაუწევს უჩხბას!..

შტიურმერი. არა... არ ვთქვამთ გავიშვებს, მაშინ

შიგვლოვიტოვი. (შეფიქრანებული). მაშინ იცით რა ვითხრათ. მოდი ქრთამი მივცეთ დარაჯებს. ხომ შესაძლებელია? (განძის ტაშის ცემა. და უვირლი: მივცეთ! დელეგატად იჩხევენ სუხომლინოვს, რომელიც შეაძღვეს დარაჯს ას თუმანს ქრთამს. დარაჯი მიღიციონერი გონდახს მოუქნევს სუხომლინოვს და უკად შესასხებს: „მე სამშობლოს ფულსეად არ ვეიღვავთ ვითრებული სუხომლინოვი თავის ავადკას ბრუნდვ ვეღვას შიშით ენა უვარდება.“

ღუბროვინი (ხმა მადლა). ბ-ბო! რახან ქრთამმა გასჭრა, პროტექცია მაინც გასჭრის. ჩვენი პატივტელი მინისტრი მაკლავოვის ძმა ვეღვამ კარგათ იცით ხემწიფო სათათბიროს დეპუტატია და დიდ რთლ თამაშობს იქ. მოდი მივმართოთ მინისტრ-მაკლავო რომ თავის ძმასთან პროტექცია გავგიკეთოთ. (საერ მოწონება და ტაშის ცემა).

მაკლავოვი (ხელების ფშვნეტით). დიდის მოფებით, მაგრამ მე ჩემ ძმას ჭირივით ვუჯავრებო ხმასაც არ ვცემთ ერთმანეთს. მეშინიან, რომ მე საქმე უფრო არ გავაფუჭებ...

(ყველანი უფრებს ჩამოუშვებენ).

შიგელოვიტოვი. მაშ რა ჟენათ, ბ-ბო?..

პროტოპოპოვი (მისტიურად). იღვრეთ! შეევედრეთ რასპუტინის უმანკო სულს!.. (ყველანი მუხლებზე დაეცემიან და ღოცულობენ, მაგრამ არა გამოდისრა).

ვოეიკოვი (ძალზე შთურადი). შე, როგორც სამხედრო ზინი გაძლეეთ სტრატეგიულ წინადადებას. როგორც ვინდავ შევლას არსად არის. საცა იყოს და არ იყოს ვიშოვოთ დინამიტი და ავაფეთქოთ ის ცისე, რომელშიაც ჩვენ ბედმა ერთად შეგვეყარა.

ყველანი (ყვერ-შინდიფები). რა? ავაფეთქოთ? **გორემიკინი** (ცახცახით). მე რე?... მეც ავაფეთქებო? მე რე?.. ხომ მოგვეკლი .. მე რე... (ჭკუაზედ იშლება).

შიგელოვიტოვი (ხანგრძლივი თათბირის შემდეგ). ბ-ბო! გთხოვთ ხელი ასწოთ, ვინც მომხრე ხართ ამ წინადადების. (ხელს სწევენ ყველანი ორიოდე ზინის კარდა. პროტოპოპოვი თავს იკავებს).

შველოვიტოვი ბ-ბო ვინ დავაფალოთ ამ აქტის შესრულებას?

ყველანი (ხმა მადლა). ვოეიკოვს! ვოეიკოვს! გაისმის ტაშის ცემა და ურას ძახილი. იღება ციხის არები და შემოდის მილიციანერებით გარს შემორტყული ხალხის მიერ არჩეული მინისტრი კერენსკი. ყველანი შეშინებულნი ფეხზე წამოცვივან).

კერენსკი. აჯანყებულმა ჯარმა და ხალხმა დამავაპა, რომ გამოვიტყუებოთ თქვენთვის არა სასიამოვნო აღი ამბავი. თვითმპურბელობა დაინგრა. რევოლუციამ გაიმარჯვა, მეფე თავისი ოჯახობით დაჭერილია. ქვენც ამიერიდან იცოდეთ, რომ ისე მოგვეპურბობით, როგორც უბრალო ტუსალებს. (მინისტრი სიტყვას ათაბს და მიდის. ჩამოვარდება სამარისებური სიჩუმი. პროტოპოპოვი კერენსკის უკან მისდევს და რაღასაც ურჩეულებს. შემდეგ გამოირკვას, რომ მან თავის ამხანაბი გასცა და შეთქმულობა ჩაიშალა. ამიტომ ისტორიამ ოდა მას სახელი იუდა ისკარიოტელისა).

ნაღველა.

ფოლსტა

თანამშრომელ ძ.ს. რედაქციის გთხოვთ თქვენს ადრესს.

რიონ-შალვას. არ დაიბეჭდება.

ქვიტირელ ფუტკარს.

„ნათლი-დედა და ნათლია ერთად რომ ქმნიან ცხოვრებას მე ვერა ვინდობ მათ საქმეს ვერც მათი გასამართლებასა“

იწერებით თქვენს ლექსში. ჩვენც ასე ვართ:

როცა ვინილავთ მომხმარებელს ლექსებს უშნოთ და ძალათა დავაწერთ: „განსანგვენებლათ სარედაქციო კალათა“.

ალექსანდრეს ობოლს. ისილეთ ზემო რე ამის მოთავსებული ტაეში.

აზი გეყოფა-ს თქვენს წერილში, იესე დოლიძის შესახებ, ერთი ფრიად საინტერესო ადგილია:

„მისი მტვექარე ხმა ფერდინანდ ლასალის ხმას მომაგონებლათ“.

ჩვენი რედაქცია გაუატიცებით ექებს ფერდინანდ ლასალის ადრესს და თუ მართლაც მუხუთშია წამოსული სააგიტაციოთ, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ „ხალხის თავისუფლების“ რედაქტორს იოსებ იმედიშვილს.

გრიშა გურულს. შინაარსი „სცენისა“

შურნალს არ შეშვენისა!

კ. ბალავაძეს. სერიოზულ შინაარსის ლექსებს ჩვენი ჟურნალი არ ბეჭდავს.

ცილთასპირელს. თქვენი შარადის მხოლოდ ეს ერთი ტაეშია რიგიანი:

„ექესი ასოდან შესდგება სახელი ამა ფორინელისა საკმელათ ხომ კი კარგია ჩამატკობელი ყელისა“.

ქათამი მართლაც რომ კარგი საჭმელია, მაგრამ შარადის მაინც ვერ შეადგენს.

ჯ-ს. თქვენს ლექსში, იოსებ იმედიშვილის და ივანე გომართელის რეპეგატობის შესახებ დაწერილში, ვკითხულობთ:

„ესდევით მოგვევლინენ, გამოუშვეს ფურცელი... ვკითხულობ და სიცილით ლამის მეღრმოს მუცელი“.

ნუ გადავაჭარბებთ. მართლაც ბევრი სასაცილო ღირსებებით არის დაჯილდოებული ივანე გომართლის ორგანო, მაგრამ ეს ღირსება არც იმდენია, რომ მკითხველს „სიცილით მუცელი ეღრმოს“.

ნაწყობები

*
**

ცხოვრების ფსკერს დავაცქერდი,
რომ გამეცნო მისი არსი;
მის სიღრმეში მომენახა
ამ ლექსების შინაარსი.

ფერადებათ შევიძინე:
ტკბილათ თაფლი,—მწარეთ—შხამი;
და ყოველი ლექსის ქმნის დროს
წინ მიდგა თითო ჯამი.

და როს მუზა მეტყვის: ვინ არს
ქვეყნის და ძმის გამყიდველი,
მე მზად მაქვს მის დასახატათ
შხამიანი საწამლავი...

*
**

ჩამხურჩულე მიყვარხარო...
მეც მომწონხარ ჩემო კარგო;
ახლა მინდა მაგ შენს გულში,
ჩავსახლკარდე ჩავებარგო.
მინდა შენთა ფიქრთა ზრახვა,
შენი გულის საიდუმლოა;
მიზნებს ჩემსა შევეუწონო,
რომ ჩემს მხლებლათ შენც გიგულვო.

თორემ ჩემო! მე რაეცი,
რომ ჰაბუქსა გრძნობამ მძლიოს;
შემდეგ ისე გამამწარო,
სულ ვწყევლიდე მთელ მსოფლიოს.

*
**

მომღერალო! როს შენს კილოს
ხარბათ ვისმენ ნაზ ნარნარსა;
სამოთხეში ქერუბიმთან
მეც ვაჟღერებ შოთას (?) ქნარსა.

მაგიწყდება ტანჯვის კუბო
ჩემი თავი შიგ მყოფელი
ალარ მარჩობს ცრემლის გუბე
ალარ მახსოვს ეს სოფელი.

გეთაყვანე, სიკვდილის პირს,
როს წამერთვას სნეულს ღონე,
გიანდერძებ ამ ჩემს ლექსებს
ოღონდ ეგ ხმა გამავგონე.

ირ. ტოფაძე.

1 მაისიდან

გამოვა ყოველ კვირეული სამხატვრო-სალიტერა-
ტურო ჟურნალი

„ს ს ი ვ ი“

ჟურნალში მოთავსებული იქნება მხოლოდ მოთხ-
რობები, პიესები, ლექსები, და კრიტიკული წე-
რილები.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. მაქარაძე,
პ. ირეთელი, იასამანი, ლალიონი, მა-
ლაქიაშვილი, ლ. ქიზჩელი, ს. რემონიძე, მ. ქუჩი-
შვილი, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი, ნ. ზომლეთელი,
ნ. ჩხიკვაძე და სხვანი.

ჟურნალში მოთავსებული იქნება თანამედროვე მო-
ღვაწეთა სურათები და მოკლე ბიოგრაფია.

წლიურათ ეღირება—10 მ.

ნახევარი წლით—6 მ.

ერთი თვით—1 მ.

თითო ნომერი—20 კ.

ჟურნალს სცემს კანტორა „განათლება“.


წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тиф-
лисѝ почтовый ящикъ № 96 С. Таварткиладзе**
თანამშრომლებს აუცილებლათ მიეცემა სასყიდელი.

რედაქტორი: პ. ირეთელი.

გამომცემელი კანტორა „განათლება“.

ფონდი

ჯარის კაცმა მოსე ლუკას ძე დოლიძემ „ეშ-
მაკის მათრახის“ რედაქციას გამოუგზავნა 12 მ. 90 კ.
მანვე გამოუწერა ხსენებული ჟურნალი ოსმალეთის
ფრონტის ჯარისკაცებს.



ო. ი. ჯურავი -

ბურჟუა. გაუმარჯოს თავისუფლებას.